

899-962-1

ღ - 818

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ხელნაწერის უფლებით

ბაბა გივის კე ლომიკე

ბაუცხოების პრობლემა 20-იანი წლების
ქართულ პროზაში
(კ. გამსახურდიას შემოქმედების მიხედვით)

10.01.01. ქართული ლიტერატურა

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის

სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი

1999

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უახლესი (XX საუკუნის) ქართული ლიტერატურის განყოფილებაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
შალვა ჩიჩუა

ექსპერტი - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია

ოფიციალური ოპონენტები - 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი სოსო სიგუა
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი დავით კოტორაშვილი

წამყვანი ორგანიზაცია - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის „24“ თებერვალი „42“ საათზე
შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
სადისერტაციო საბჭოს (p. 10.01 CN3) სხდომაზე.


მისამართი: 380008 თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №5.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 1999 წლის 27 სექტემბერი

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი,

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი: *ა. არაბული* /ა. არაბული/



9471

ნაშრომის ზოგადი დასასიათება

თემის აქტუალობა. ადამიანის არსებობის საზრისის გარკვევის ცდებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. თუმცა განსაკუთრებული აქტუალობა XX საუკუნეში შეიძინა, როცა მასზე საგანგებოდ გამახვილდა ყურადღება არა მარტო თეორიული თვალსაზრისით, არამედ მხატვრული წარმოსახვის მხრივაც. მთელი სისხვით დაისვა კითხვა ამქვეყნად ადამიანის გაჩენის აზრისა და დანიშნულების შესახებ და შესაბამისად გაჩნდა ერთმანეთისგან განსხვავებული უამრავი პასუხი, მაგრამ არა საბოლოო და ამომწურავი. ლიტერატურის ინტერესის საგნად იქცა ადამიანის არსებობის (exsistentia) რაობა, იმის ჩვენება თუ როგორ უღმობლადა იგი გადასროლილი უკიდევანო სამყაროში, სადაც გამეფებულია ურთიერთ გაუტანლობა, ურთიერთ უნდობლობა, განწირულება და მარტოობა, რაც იწვევს საზოგადოებისგან იზოლირებასა და თვითგაუცხოებას.

ადამიანის გაუცხოების თემით დაინტერესება ინტენსიური გახდა ჩვენი საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ მწერლობაში, კერძოდ, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, ლ. ქიაჩელის, ნ. ლორთქიფანიძისა და სხვათა შემოქმედებაში, რაც სავესებით კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ეს თემა ფართო პლანში განსაკუთრებული სიახლით წარმოსახა კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში, რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოყოს ახალი პლასტები მის მხატვრულ სისტემაში და ხაზი გაუსვას მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობის თავისებურებას. სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წინამდებარე ნაშრომის შექმნა, რომელიც კ. გამსახურდიას პროზას ახალი კუთხით წარმოაჩენს და ამავე საფუძველით გარკვევით მიუთითებს მის აქტუალობაზე.

მეცნიერული სიახლე. კ. გამსახურდიას შემოქმედებაზე არაერთი საყურადღებო მონოგრაფია თუ ცალკეული ნაშრომები შეიქმნა, რომლებშიც დახასიათებულია მრავალფეროვანი მემკვიდრეობის სხვადასხვა მხარე. ჩვენი გამოკვლევა იმით განსხვავდება, რომ მასში საგანგებოდაა განხილული, თუ როგორ წარმოსახა კ. გამსახურდიას შემოქმედებაში ადამიანის გაუცხოების საკითხი, რომელმაც ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიჭირა XX საუკუნის მსოფლიოს მხატვრულ კულტურაში და დასავლეთის მრავალი გამოჩენილი მოაზროვნისა და მწერლის ინტერესისა და შთაგონების წყარო გახდა.